

572  
1965

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆՈՒՄՆԵՐ



# ԲՈՒՄ

1965 ՄԺԹՄԹՅՂԻՐ ՈՒՄ 10

# დიდი მოახება



სიმონ სსირგლაძე

დამსახურებული მასწავლებელი

ნახატი რეპუხ სუხიანიძისა

როცა შენსავით პატარა ვიყავი, შეც გულში ვიკრავდი იაკობ გოგებაშვილის სურათს. ზიჟვა-რულით ვფურცლავდი მის უკვდავ „დედა ენას“. ახლაც ტკიზლად შიგონდება ბავშვობაში ამოკითხული ორი სიტყვა: „აი, ია“.

რაკი შენი ჯერი დადგა და „დედა ენის“ მადლი შენც მოგეცხო, მოდი, სმენად იქეცი. რაც გითხრა ამ დიდებულ ადამიანს შესახებ, ღრმად ჩაიბეჭდე გულში.

ილია ჭეჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამებრძოლმა იაკობ გოგებაშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართველ ხალხს, მის ენასა და კულტურას.

იაკობ გოგებაშვილმა გიანდერძა: გიყვარდეს სამშობლო, სწავლა, შრომა, იყო ბეჯითი, ზრდილი და თავაზიანი.

დიდი პედაგოგის იდეალია ყოველთვის თვალწინ გედგას მშობლები, მასწავლებლები და სკოლა. რა საქმესაც ხელს მოჰკიდებ, გულს ნუ აიცრუებ, ბოლომდე მიიყვანე. იყავ უანგარო და გულწრფელი მეგობრობაში, არ შეგიპყროს შურმა მაშინ, როცა შენი მეგობარი წინ მიდის. შენც ეცადე შრომითა და გარჯით არ ჩამორჩე მას.

ბრძენი ადამიანი გირჩევს: ხარბად გაულოსული და გული ყველაფერს, რაც შენი კვების ღირსეულ მოქალაქედ გაქცევს.

მადლიერი სამშობლო წელს ზეიმით აღნიშნავს დიდი კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 125 წლისთავს.



# მულამ მზგანს ხააჭი

მემოღგომს დაღგა. ფრინველები თბი-  
ლი ქვეყნებისაკენ გაემგზავრნენ. ერთ-  
მა შოშიამ ფრთა მოიტყეს და ამხანა-  
გებს ვეღარ გაჭევა.

ფრთამოტყესილი შოშია მიფრინდა  
მუხსანთან და სოსოვია:

— ძლიერო მუხსავ, ფრთა მოვიტყესე,  
ჩემს ამხანაგებს თბილ ქვეყნებში ვერ  
გავეყვო. ნება მომეცე, სამთარი შენს  
ტოტებში გაგატარო.

— ვერა, — მიუგო მუხსამ, — სამ-  
თარში შე ვრტივლდები და ჩემი ტოტე-  
ბი ბინად ვერ გამოგადგება.

დაღონებულმა ჩიტუნამ ცაცხვისაკენ  
გასწია. ცაცხვმა ფოთლები ააშრიალა  
და გადმოსმახა.

— მეც ფოთლები მალე ჩამომცვივა  
და სიცივისაგან ვერ დაგცავა.

საბრალო შოშია ძალიან დაღონდა.

— მოდი ჩემთან, ჩიტუნია, — აღერ-  
სით ჩამოსმახა ნამვამ, — ჩემს ტოტებში  
გატარე სამთარი.


— მეც გიშეული, — დაბიძგდა ღვი-  
ის ბუჩქმა, — ჩემს ნაუოფს სამთარში  
საზრდოდ მოგაწვდი. ჩიტებმა იციან, რა  
გემრიელიც არის ჩემი სილი!

მალე ცვიმა ქარმა დაუბერა.

მუხსის და ცაცხვის ფოთლები ქარს  
აქეთ-იქით გაჭქონდა.

ნამეი კი მთელ სამთარს მწვანედ  
მოჩანდა. ღვია შოშიას საზრდოს აწე-  
ლიდა.

976



# შენი საშუალება

## ზაზა ბოლქვაძე

მთა-თოვლიანი, მაღალი,  
ყვავილიანი ვეღი,  
მზის ოქროვანაყარი  
წაღკოტი სანატრელი.

— რა არის ასე ზღაპრული,  
ტურთა და მოვლვარე?  
— ეს შენი საქართველოა,  
შენი საშობილი მხარე.

ხან არწივების ყვირილი,  
ხან ბუღბუღების სტვენა,  
წამალი ყველა ტკივილის,  
სიტყბო და აღმაფრენა.

— რა არის ასე დიადი,  
ძვირფასი, მშვენიერი?  
— ეს შენი ღედა ენაა,  
ენა ქართველი ერის.

მომავლის სხივი ნათელი,  
იმედი გმირი ხაღხის,  
ფიქრი ყოველი ქართველის,  
სინათლე ყველა სახლის.

— ეს ბედნიერი ვინ არის  
სიციცხლებსაც რომ გვიჯობს?  
— შენი ხარ, პატარა ქართველო,  
კობტა გოგოვ და ბიჭო.

მზე ცაზე შენით ბრწყინდება,  
მამული შენით ხარობს.  
ღამაზ მიწას და ტკობილ ენას  
შენ უნდა მოუარო!





გივი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. წილს სოფელში დაპატიჟა ბებომ: ჯერ სოფელში არ ყოფილხარ, იქაურობა არ გინახავს და უნდა გაჩვენოთ. ახლა ბალიც დამწიფდა და ბუერს გაჭმეო.

გივის ძალიან უყვარდა ბალი. ყოველთვის, როცა დედა დილით ბაზრიდან შინ ბრუნდებოდა, მაშინვე ეცემოდა ჩანთას და იქიდან თავისი საყვარელი ხილი ამოჰქონდა. გივის მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ ღედიკო ბუერის ჭამას უკრძალავდა.

სოფელში კი დედა არ იქნება, ხო-

ნახა, მის ტოტებზე კი ძალიან ბევრი ბალიც უნდა. ხე ისეთი ლამაზი შესახედავი იყო! თვალს ვერ აშორებდა. იდგა და მიმტერებოდა, თან პირზე ნერწყვი ადგებოდა. უნდოდა ეჭამა, მაგრამ როგორ? ხელით ხომ ვერ მისწვდებოდა?!

გივიმ უყურა. უყურა, მერე ბებოს უსაყვედურა:

— ეს რა გიქნია, ბებო, ბალი ასე მაღლა რად ჩამოგიკილია? ალბათ იმიტომ, რომ ვერ შევწვდე, არა? არ მინდა სოფელში, უკანვე ქალაქში წამიყვან!

# პირველი სეზონი

ლო ბებო არ დამიშლის, — ფიქრობდა გივი. ვიდრე ბებო და გივი სოფელში მანქანით ჩავიდნენ, დაღამდა კიდეც. მთელი დამე გივის ღრმად ეძინა. დილით კი, გაახილა თუ არა თვალი, მაშინვე წამოხტა, ბუბიასთან მივიდა და სთხოვა:

— აბა, მაჩვენე ის ოთახი, სადაც ბალი გაქვს!


— ბაღს ოთახში რა უნდა, — გაეცინა ბებოს, — ხილი ეზოშია.

გაიქცა გივი ეზოში, ეძებს სად არის ჩანთაო და უეცრად ერთი მაღალი ხე დაი-





# ენბუჯჰესი



საქართველოს  
საინჟინერო-ტექნიკური უნივერსიტეტი


მარამ შანგიძე

ნახატები თანახმად სამსონიძისა

ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, ძველ საბერძნეთში თაღეს მიღეთელმა შეამჩნია, რომ შალზე ხახუნის შემდეგ ქარვა მსუბუქ ნაწილაკებს იზიდავდა.

დიდი ხნის შემდეგ ინგლისელმა ექიმმა ჯილბერტმა აღმოაჩინა, რომ ეს თვისება სხვა სხეულებსაც ახასიათებდა. ამ მოვლენას ჯილბერტმა ელექტრობა უწოდა. „ელექტრონი“ ბერძნული სიტყვაა და ქარვას ნიშნავს.

დღეს კი ელექტრონის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. აბა, ჩამოეთვალეთ, ჩვენს საკუთარ სახლში, ელექტროენერგია რამდენ



არსებობს სამგვარი ელექტროსადგური. ყველაზე უფრო იაფი და ხელსაყრელია ჰიდროელექტროსადგური. „ჰიდრო“ ბერძნული სიტყვაა და წყალს ნიშნავს. ასეთ სადგურებში ღუზას წყალი აბრუნებს. ჰიდროელექტროსადგურს შემოკლებით ასე წერენ: — „ჰესი“.

მეორე სახის ელსადგურს მიეკუთვნება თბოელექტროსადგური. აქ კი ღუზა სითბოს ენერჯით ბრუნავს. ამ ელსადგურში საწვავად ნავთობის პროდუქტებს ან ტორფს იყენებენ.



რამეში გვპირდება: ელექტრონი ანათებს ნათურებს, ელექტროენერჯით მუშაობს რადიომიმღები, ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, უთო, ვენტილატორი, მტვერსასრუტი და სხვა...

უელექტრონოდ დღევანდელი ფაბრიკები და ქარხნები ვერ იმუშავებდნენ. ვერ ივლიდა ელექტროტრანსპორტი: ტრამვაი, ტროლეიბუსი, ელმავალი.

ელექტროენერგია ყველაზე უფრო იაფი ენერჯიაა.

ელექტრონაკადს იღებენ ელექტროსადგურებში.




მესამე ტიპის ელსადგური სულ ახალი. სახის ელსადგურია. ეს არის ატომური ელსადგური. აქ ღუზას ატომური ენერგია აბრუნებს. ატომურ ელსადგურს ძალიან დიდი მომავალი აქვს.

საქართველო ჰიდროენერჯის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. საქართველოში ბევრი ჰიდროელექტროსადგურია. თქვენ ყველას გაგიგონიათ ზაჰესი, ხრამჰესი, რიონჰესი, ტყიბულჰესი.

აღბათ ყველამ იცით, რომ მდინარე ენგურზე შენდება ახალი ჰესი. იგი ყოველწლიურად უდიდეს ენერჯიას მოგვცემს. ენგურჰესი უფრო მძლავრი იქნება, ვიდრე საქართველოს ყველა ჰესი ერთად აღებული.

ენგურჰესი ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. საგურბის უზარმაზარი კაშხალი ყველაზე მაღალი იქნება მთელს მსოფლიოში. მისი სიმაღლე სამას მეტრს მიაღწევს. წყალსაცავებში დაგროვდება 1,5 მილიარდი კუბური მეტრი წყალი. თვითონ ელსადგური კი თხუთმეტსართულიანი შენობისოდენა იქნება. ამ უზარმაზარი ჰესის პროექტი ქართველმა ინჟინრებმა შეადგინეს.

ენგურჰესის მშენებლობაში ახალგაზრდობაა ჩაბმული. საქართველოს კომკავში-



რის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით მშენებლობას ბევრმა ახალგაზრდამ მიაშურა. გაივლის კიდევ ორიოდე წელი და ჩვენს რესპუბლიკას უდიდესი ელექტროსადგური ენგურჰესი დაამშენებს.





შ . ღ . ჳ . ე . ლ . ი

მედი ჰეტიანაძე

ისეთია ხარისთვალა,  
 თვალს არ ახსოვს ამისთანა.  
 იმდენია რქაწითელი,  
 არ ეყოფა ასი ხელი.  
 მოაქვთ ციცქა,  
 მოაქვთ თითა,  
 გოდრითა თუ

ნახატი ლეან მუხიანიძისა

კალათითა...  
 საწნახელი ღარის ყელით  
 ქვევრს ჩასძახის  
 რაკრაკითა:  
 — გაიხარე, გაბერილო,  
 სვი, ილხინე,  
 რალა გინდა!





# პელიკანი

(რობერ ღუნსონიდან)

კაპიტანმა ჯონათანმა ნაოსნობა მოათავა.

და შორეულ მგზავრობიდან გაბადრული ჩამოვიდა.

იწუტებს და მკერდზე იკრავს კაპიტანი თეთრ პელიკანს.

პელიკანი მთელ ერთ ზამთარს ჯონათანთან დაბინავდა.

ან ცალ ფეხზე თვლემდა, ანდა მიდიოდა კაპიტანთან.

ჯერ ეზოში იყო მარტო, მერე ერთი კვერცხი დალო.

და სულ მალე მკერდზე იკრავს ჯონათანი სხვა პელიკანს, ჯერ ასეთი არ უნახავს ევროპას და ამერიკას.

მერე გაჩნდა კიდევ ერთი, ისევე-ისე თეთრზე თეთრი.

და სიმრავლე პელიკანთა მთელ მსოფლიოს წაადგავდა,


რომ არ იყოს ქვეყნად ცუცხვი და ტაფაზე — ერობ-კვერცხი.



# ღათვი

(რობერ ღუნსონიდან)

ზოლპარკში ცხოვრობს დათვი, დაბუღუნებს სპილოს გვერდით, ხოლო ცაში ღამეს ათევს დათვის თანავარსკვლავედი. ბრაზიანი ნუ ხარ, დათვო, თორემ გაკმევთ ეკლის ქატოს. გამოგოთქვამთ ქვეყნის ღეჭსებს და აგაგებთ სადმე სხვენზე, რომ ბურღუნით სიბერეში ვერ იპერდე ველარც ბუზებს, და გახერცტილ ჯიბებში იქორწინო მაიმუნზე.





## ნოდარკო და ზეგო

მედიკოსი

ნოდარკო და ზეგო ერთ დღეს დახვდნენ ნოდარკოს სოფლის საკანცელაროში, ზეგო კი მგობის მუშაობისთვის კვამლებში ნოდარკოს დედას რაც არ მქონდა და ზეგოს დედა აქოფობდა ჭრებს ზეგოსად და ნოდარკოსად.

— ზეგო, ზეგო, სდა ხარ, ვაზოლი, წე იხილები, ზეგო! — ეძინდა ხოლმე პატარა ნოდარკოს ზეგოს, როცა მგობისად ვის თუდ დავებდა ამას ტყეში.

— ზეგო, ზეგო — უმსოფნებდა ხოლმე ჩინისა ზღაბის კვებრაში გახილული ზეგო და ბრუნა-ბრუნით გამოეშრებოდა მთიდან ერთ სღაბის ზეგო ზენ არ დაბრუნდა.

ზეგო და ნოდარკო ხანგრძლივ წყვილდნენ ტყეში ზინდი გამოეხილული კოტა არ იყო მთაში წყნარა მთა ზეგოს იცოდა ტყეში.

— ხილი უფრო ღონიერია, ზეგო, იგი მგობა! — გეოთხება ნოდარკო ზეგოს.

— ხილი უფრო ღონიერია, ზეგო, ზეგო, ზეგო! — ეძინდა ზეგოს ამას ხანგრძლივ არ იძინა.

— დამი ხომ მოგჩვენა ზეგოს, ზეგო?

— რა იქნა უნდა, ზეგო, მოგჩვენა ზეგო, ზეგო! — ასეუნი არ იძინა.

— იხილ მოგჩვენა ზეგოს ხო, ზეგო?

— მოგჩვენა, ზეგო, მოგჩვენა ზეგო, ზეგო! — ასეუნი არ იძინდა ზეგო არსადან კი ზეგო დიდხანს ვერცხ.

— ახარებს, ზეგო, ახარებს, ავარი! — დიანა ნოდარკომ და მათხდა ზეგო; წყვილი ნაცვრინალი ციხეობდა ზეგო სინდულა-მოდურ ტყეში. თუ ზეგო, რატომ ხმას არ იღებს? — ფიქრობდა ნოდარკო და კოტა არ იყო, შეეჩილი მიხვევდა ზეგოს.

ამას თავს წაადგნენ, ზეგო იმ ასილი მოგებულ კოტებს ვადადარებოდა.

ზეგომ კოტები ზეგოდზე მოხვდა და მთისად გამოიწიქა გასარებული მისდგინა ნოდარკო ზეგოს.

— რატომ არ ჰდაოდა, ზეგო, როცა ვეძიებ, რატომ? — გეოთხება გასარებული მთა ზეგოს.

— გზინოდა, ზეგო, რამ ზეგოს არ ეძინა მისი ხმა.

— ზენ რამ მოხარა, ზეგოს იხილ მოგჩვენა? —

— გული რამ არ დავწვდებოდა, იხილთ ვიხარა, ზეგო, — იღიბება ზეგო.

— ადრე რამ გვეხიარებოდა, ზეგო?

— მაშინ კოტები არ ჰყავდა, ზეგო, და ახარის არ გზინოდა, — მიუღო ზეგომ.

მაკ-ბუკით მიხვევდა ზეგო ზეგოს და ნოდარკოს. ხანდახან იდნავ წინ გეოთხებდა ხოლმე და ზეგოს შეხედავდა: ხომ არ დასიკარება ზეგოს მართანა ზეგოდებო...

# უყუნიტით



და

# უყუკივრით

არაკი

მშვიერი კატა სავარძელში თვლემდა. საკუქ-  
ნაოში კი რიგიანად გამაძღარმა თავუნამ ცე-  
რული დაუარა და არხალალოც შემოსძახა.

კატამ სიმღერას უური მოჰკრა და გაიფაქრა:  
— მაგისმა წრიპინმა ძარღვები ამიშალა, და-  
ვიქერ და შევქამო!

წამოდგა, გაიშორა, პირიც დაიბანა და სა-  
კუქნაოსაქენ გასწია.

თავუნა მიიმალა. კატამ საკუქნაო მოათვა-  
ლიერა და თქვა:

— სოროში, ამ არამზადას, ვერ ჩავუკები და  
მაგის ხელმეორე მობრძანებას სად ველოდოო.  
თავუნამ კატას სოროდან სიცილით ამოს-  
ძახა:

— შენისთანა მუყაითი და შეუპოვარი კატა  
ნურც მე მომაკლოს ღმერთმა და ნურც ჩემს  
ნაშიერსაო!

კატა კულამოძუებული წავიდა.

— მუყაითობა და შეუპოვრობა რა არისო? —  
ჰკითხა კატამ ქოფაკს.

ქოფაკმა საფეთქელზე თათი მიიღო, დაფიქრ-  
და და უთხრა:

— ემანდ, ხევში ჩადი, კლდიდან წყალი  
წვეთავს, ის გეტყვისო.

კატა ხევში ჩავიდა და წვეთს იგივე კითხვა  
დაუსვა.

— ძირს დაიხედე და ნახავ, რაც არისო! —  
უთხრა წვეთმა.

კატამ დაიხედა. ძირს სქელი გახვრტილი  
ქვა იღო. კატას გაუკვირდა, ამ უსუსურ წვეთს,  
ეს ვეუბა ქვა რამ გაახვრტინაო? წვეთმა ამაყად  
უპასუხა:

— მუყაითობამ და შეუპოვრობამო! დაე-  
დექი, ერთსა და იმავე ადგილას იმდენ ხანს  
ვურტყი, სანამ ნახვრტი გავეტანეო!

კატამ ხევი აიარა, გზატყეცილზე გავიდა.  
ზედ ასფალტზე ბალახი ბიბინებდა. ასფალტის

## გაფრინდები

მარი აბრამიანილი

- დედა, რა იქნენ მერცხლები?
- უკვე გაფრინდნენ, შვილო.
- გაფრინდნენ? რატომ გაფრინდნენ? —  
ლაშის ატირდეს შოო.

- დღეიდან როგორ ვუყუროთ  
ქვრზე ცარიელ ბუდეს?
- მოფრინდებიან გაიხად,  
შვილო, ჯერ გაზაფხულდეს!

ქვეშ ბალახის ფესვებს ზარ-ზეიში ჰქონდათ.

— რა გინაჩიათო? — ჩასძახა კატამ.

— ვერა ხედავ? ულორტი ამოვიყარე და ისაო! — ამოსძახეს ფესვებმა.

კატამ ასფალტი მოათვალიერა და გაუკვირდა:

— ამ სისქე ღორღი და ასფალტი რამ ამოგარღვევინათო?

ფესვებმა ამყად უპასუხეს:

— მუყაითობამ და შეუპოვრობამაო! მივადექით, იმდენი ვერძოდეთ, ხანამ ბზარი გავუჩინეთ და ულორტი ამოვიყარეთ.

კატამ გზატკეცილი გადაქრა და ტყეში შევიდა.

ხმარზე აიხედა. ნაძვს კოდალა მისჯდომოდა და უკაკუნებდა.

— რას უკაკუნებო? — ჰკითხა კატამ კოდალას.

— დამაცალე, შენთვის არა მცხელაო! — უპასუხა კოდალამ.

იუდა კატა და უკვირდა, ამდენი კაკუნი როგორ არ ბეზრდებო!

კოდალამ ხეს იმდენი ურტყა, რომ თავი ასტკვდა, მაგრამ შუბლი შეიხვია და მუშაობა მაინც განაგრძო.



მზე ჩასვლას აპირებდა, როცა კოდალამ ფულუროდან მსუქანი ქია ამოათრია და კალათში ჩაიღო.

კატა ნაძვზე აცოცდა.

— ამ სიღრმე ფულურო რამ ამოგათხრევინაო?

— ორი დღე შეუსვენებლად ვურტყიო!

კატა წაზოვიდა, თავუნას ქამანდით ჩაუსაფრდა. ერთი კვირა დღეღამე უცადა. არც ძილი გაიკარა, არც საკმელი მოიგონა. თავუნა, როგორც იქნა, სოროდან ამოძვრა. კატამ ქამანდი სტყორცნა და დაიჭირა.

ქოფაკმა კატას გამარჯვება მიულოცა და უთხრა:

— მუყაითობას და შეუპოვრობას არაფერი დაუმაგრდებო!





# გუანაგუანი

ავსო. მერე გაიქცა და მუშაობით გართულდა. გაბოსთან გაჩნდა.

— რა გითხრა წამოსვლისას ძია გაბომ? — ჰკითხა გიგამ შინ დაბრუნებულ ძმას.

— ნამდვილი მშენებელი გამოხვალო, — ამაყად უბასუხა რეზომ.

— ნამდვილი მშენებელიო! — შეეხარბა გიგას და გული დაწყდა. ჩავიდა ბაღში, ლოყაწითელი ვაშლებით აივსო უბე და მშენებლობისაკენ წავიდა.

იგი ჯერ ბატარა კიბეზე აფორთხდა, მერე ხარაჩოზე შედგა ფეხი და საქმით გართულ ძია გაბოს თავს წაადგა.

— ვისი ხარ, ბიჭიკო, აქ რამ მოგიყვანა? — გაუღიმა ძია გაბომ გიგას.

— მე რეზოს ძმა ვარ, ვაშლი მოგიტანეთ... — თქვა ბიჭმა და უხერხულად გაიღიმა.

— აი, ყოჩაღ, გაიზარდე დიდი ბიჭი!.. — ძია გაბომ სამი ცალი ვაშლი გამოართვა გიგას. და-

## წოლარ ხანაძე

სწორედ იქ, სადაც გიგა ცხოვრობს, დიდ სახლს აშენებენ.

რეზომ თქვა, ეს სახლი ხუთსართულიანი იქნებაო. რეზო გიგას უფროსი ძმაა. იგი მესამე კლასში სწავლობს. გიგა კი ახლახან შევიდა სკოლაში.

— შენ საიდან იცი? — ჰკითხა ძმას გიგამ.

— ვიცი, ძია გაბომ მითხრა, — მე ყოველდღე დავდივარ მასთან! — თქვა რეზომ და ძმას ამაყად გადახედა...

ძია გაბო მშენებელია. მას დიდი ხელები, განიერი ბეჭები და გრძელი უღვაშები აქვს.

— დადინარ არა... — გაეცინა გიგას — იქ ვინ მივიშვებს?

— მიშვებენ! თუ არ გჯერა, მიყურე, — რეზომ ხელადა აიღო, ეზოში ჩაიბრინა და წყლით გა-

## ნახატი პაიოზ შოხნიშვილისა

ნარჩენი თვითონ ჰამეო, — უთხრა და თავის საქმეს მიუბრუნდა. ისე გატაცებით ამუშავდა, სრულიად გადაავიწყდა, რომ გიგა კვლავ მის გვერდით იდგა.

— არ წასულხარ? — მობრუნდა ბოლოს ძია გაბო გიგასაკენ და გაოცდა. ბიჭი დაღვრემილი იდგა.

— რა მოგივიდა, გიგა? — შეწუხდა ძია გაბო.

— ვინც წყალს მოგიტანთ, მხოლოდ ის გახდება მშენებელი?.. — წაიბუტბუტა ბიჭმა.

ძია გაბოს გაეცინა.

— შენ საუკეთესო ინჟინერი გამომხვალ, გიგა, ასსართულიანი სახლების მშენებელი ინჟინერი! — უთხრა ძია გაბომ, მერე კედელთან მიიყვანა, ერთი აგური მისი ხელით დაადებინა და გახარებული შინ გაისტუმრა.





ფისო მიდის სათევზაოდ,  
 წინ შემოხვდა მელა.  
 — გამარჯობა!  
 — გავიმარჯობა!  
 — საით, ცუგრუმელა?  
 — სათევზაოდ.  
 — რა კარგია!  
 წამოგყვები, ფისო,  
 რომ დაიჭერ, თევზს ხომ მაქმევ,  
 მიყვარს როცა ხტისო!  
 — წამობრძანდი, — უთხრა კატამ,  
 და გაუღწენ შარას,  
 მხიარულად მიდიოდნენ  
 ორივენი ჩქარა.  
 მდინარისკენ მიამურეს,  
 შვისივენის იქვე.  
 კატა უკვე ვმზადება,  
 თან უღლაშებს იგრესს.  
 მოიქნია ანკესი და  
 ფისომ წყალში სტყორცნა,  
 მელას ისე გაეხარდა,  
 სურდა კატის კოცნა.  
 ერთი, ორი, ბიჯოს, ჩაპკრა,  
 ფისომ აპკრა თათი,  
 და პაერში შეფარტაქლდა  
 ვერცხლისფერი თართი.  
 — ჩემიაო, — დაიძახა,  
 დატრიალდა მელა,  
 მდინარეში გადაეშვა,  
 თევზმა თავს უშველა.  
 გაწუწულმა მელაკულამ  
 ბლომად ყლაპა წყალი,  
 იმ მსუნაგმა ფისუნისას  
 სთხოვა სამართალი.  
 კატამ უთხრა: — შე პირწუწკო,  
 სულ ტყუილად დგლავ,  
 ერთი ციკქნა მოთმინება  
 არ გქონია, მელაჲ!  
 რაკი პატივს ვერ იფერებ,  
 რა ვქნა, გენაცვალე,  
 თუ მშიერი მიბრძანდები  
 შენ თავს დააბრალე!



163



# ზინჯირი და ზღაპარი



## მკურნი



ი. კინკი

ბულგარელი მწერალი

ნახატები შალვა მხაღვინაძის

3

ინ არიკებს წერილებს ტყეში? დათვი?

— წინათ დათვი არიკებდა, ახლა კი აღარ არიკებს.

ზღაპარი

— რატომ?

— როგორც კი მოთოვა, დათვი თავის ბუნაკში შემეზა, თავკეპ ბარათებით სავსე ჩანთა დაიდო და ზამთრის ძილს მიეცა

მსეცები ელოდნენ და ელოდნენ წერილებს.

შემოდგომაზე ვაკე ზაფხილი წერილები მხოლოდ გაზაფხულზე მიდიეს.

— ახლა ვინ არიკებს წერილებს? — იკითხავთ თქვენ, — კურდღელი?

— კურდღელი არიკებდა, მაგრამ მანაც თავი დაანება დარიკებს.



— რატომ?

— კურდღელს გარეუ-  
ლი ღორისთვის უღრან  
ტყეში მიჰქონდა წყრილი,  
ბუჩქებში რაღაცამ გაიშრი-  
ალა, კურდღელი შეძინდა,  
ჩანთა იქვე დააგდო და  
მოჰკურცხლდა.

— კურდღლის ნაცვ-  
ლად ფოსტალიონად ვინ  
დადგა?



— შელა სადღა?  
— არც შელა გა-  
მოდვა. იგი ბარათებს  
სწნიდა და ტყის საი-  
ღუმლოებს იკვებდა.  
ერთსულ შელა დაიჭი-  
რეს და ტყავი გაამ-  
რეს.

ამის შემდეგ ფოს-  
ტალიონობა სდარბს

— ვინა და, მგელი.  
მგელმა თავისი საქმე კარ-  
გად იცოდა, მბერამ ერთი  
ნაკლი ჰქონდა. ვეულის ეში-  
ნოდა მისი, ვისაც დაუკა-  
კუნებდა, კარს არავინ  
უღებდა. ზოგი თოფითაც  
ემუქრებოდა. ჰოდა, მგელ-  
მაც უარი თქვა ფოსტალი-  
ონობაზე.



მიანდევს, შერე — კუს.  
მაგრამ ძალიან ატვი-  
ნებდნენ. ერთი დეჰუმის  
მიტანას შთელი კვირა  
უნდებოდნენ.

— ახლა ვინ არი-  
გებს წერილებს?

— ვინა? ვინა და,  
ვინც ტუეში ავაკუნებს:

— კოდალა?

— დიას, კოდალა.

კოდალა სეს უკა-  
უნებს, მხეცები მისკენ მიბრბინ და  
ჩანთიდან წერილებს თვითონვე იღებენ:  
ჩანთა თანდათან ცარიელდება. თუკი  
რომელიმე წერილი დარჩება, კოდალა  
თვითონ მიუტანს ჰატრონს და კარსე

მიუკაკუნებს; ვინც ზირველი წამოადგება  
ლოგინიდან, წერილსაც იმას მისცემს.  
ახლა სომ იცით, ვინ არიგებს წე-  
რილებს ტუეში!

თორგუნა ლეილა ვრამეშ





იყო 1  ნა. სახელად ერქვა   ჰყავდა .  
 ძალიან ლამაზი იყო და   საც  
 ძალიან უყვარდა.  ს ეცვა ლამაზი .  
 ერთხელ  გადმოვიწვდა და ცხვირი  
 გაიტყეხა.   ს  შეეპირა ლა და მიუფერა.

შეადგინა სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო-შახანანის  
სამშულო სკოლის მოსწიფელმა ლალი ნალირაშვილმა

# ბობნა

გივი ჭიჭინაძე

მე რომ გოგონა  
 დაუთესე,  
 თურმე ჩუმად,  
 მალეულად,  
 ამდგარს და  
 თამბიკოსს  
 ბაღში გადებარეულა.

## ხალხური ჯამოსანები

ერთი რამცა, თეთრი რამცა,  
 თეთრად გადაპენტილამცა,  
 ვინც ამას ვერ გამოიცნობს,  
 ცრუც არის და პენტელაცა.

ოთლო, თოთლო, ოთხო ზოძო,  
 ზეით მთაო, სათიბაო,  
 ძვეით წყარო საღინარო.  
 ხაწორილია რაჟიელ პრისთავის მიერ





630/260

ИНДЕКС  
76055

საქართველოს  
ხელოვნების



1



2



3



5



6



4



7

- 1 „ფორთოხალი და ვაშლის ბაღი“ ნახტი თაკო ქილაძისა, 3 წლის.
- 2 „ჭაპრის დედოფალი“ ნახტი თამარეო ქუშურიაძისა, 7 წ.
- 3 „პეველი ბი“ ნახტი ნინო ქუშურიაძისა, 6 წ.
- 4 „ვაშლი“ ნახტი ნანა ჯანგულაშვილისა, 9 წ.
- 5 „მეცხე შვიკა“ ნახტი ნანა კაკაბაძისა, 6 წ.
- 6 „ბიჭი“ ნახტი კახა ხანგულისა, 3 წ.
- 7 „იღვტარია ჭაპრისათვის“ ნახტი მია ფორჩხაძისა, 3 წ.

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი. სარედაქციო კოლეგია: მ. გიგინეიძე, ა. გოგიაშვილი, ჯ. ლოლა, მ. შ. მამა-ლიშვილი, ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულუკიანი (რედაქტორის მოადგილე), რ. ბიჭვილი. ხაბარველის ალექსანდრე კომინარევიძისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ მწიგნობრობის განყოფილების რეპერტორი

ულის მხატვრობა იესოენის პეპე გულიაშვილი ტერეგოტორი ბ. რიგინიანი

გამოცემის ოცდამეორევე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.  
 გამოცემა „საბავშვო“, გამოც. წელი № 634, სტამბის შედეგად № 2485, ტარაჟი 40.000, ხელმოწერილია დასაბუდედ 14/VIII/1965 წ.  
 გენერალური გამომცემელი კომისიის უკონსტანტინე, ლენინის ქ. № 14 „საბავშვო“ და რედაქტორის მოადგილე, პროფ. ნათანაძე ნ. ი.  
 ავტორის მისამართი: თბილისი, მღვანის ქ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09.